PDF Eraser Free



დანართი №2

**პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ დამატების შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა**

**შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA**

| |
|---|
| **ექსპერტთა ჯგუფის წევრები** |
| **თავმჯდომარე:** |
| ქეთევან ბოტკოველი |
| **წევრები:** |
| ალექსანდრე კეკნაძე |

**(ქ.თბილისი, 2021)**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

**დაწესებულების სახელწოდება:** შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA

**ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა:** შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

**საიდენტიფიკაციო კოდი:** [redacted]

**სახე:**

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

## II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

2021 წლის 01 აპრილის MES 0 21 0000313753 ბრძანების საფუძველზე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA - ში „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით. ბრძანების საფუძველი გახდა შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA - ს მიერ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში (შემდგომში - ცენტრი) 2021 წლის 23 მარტს წარმოდგენილი განაცხადი "კომპიუტერული ქსელი და სისტემების" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სრულფასოვანი შეფასების მიზნით, დისტანციურად ჩართვამდე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილ იქნა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მასალა, განისაზღვრა დასაზუსტებელი საკითხები, შედგა დისტანციური ადმინისტრაციული წარმოების გასაუბრების განრიგი, რომელიც გადაეგზავნა დაწესებულებას და რომლის შესაბამისადაც 14 აპრილს, 14.00 საათზე განხორციელდა ჩართვა. შეხვედრამ ჩაიარამ მშვიდ, საქმიან გარემოში.

ექსპერტები გაესაუბრნენ დაწესებულების ხელმძღვანელობას და ადმინისტრაციის წარმომადგენლებს. შესაბამის პასუხისმგებელ პირებთან ერთად განიხილეს დაწესებულებაში საგანმანათლებლო პროგრამის „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ დამატებასთან და ზღვრული რაოდენობის განსაზღვრასთან დაკავშირებული საკითხები. გაესაუბრნენ პროფესიული საგანმანათლებლო მოდულების განმახორციელებელ პირებს, პროგრამის ხელმძღვანელს. ექსპერტების მიერ განხორციელდა ასევე სასწავლო პროცესის ორგანიზებასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის განხილვა და შესაბამის პასუხისმგებელ პირთან გასაუბრება. შემოწმდა დაწესებულების მატერიალური ბაზა, საგანმანათლებლო პროგრამის მატერიალური რესურსი, ბიბლიოთეკაში არსებული პროგრამით გათვალისწინებული შესაბამისი ფონდი და მასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია.

დოკუმენტაციის ანალიზი, დათვალიერების და გასაუბრების შედეგები დეტალურად არის ასახული წარმოდგენილ დასკვნაში.

**აქვე უნდა აღინიშნოს, დაწესებულების მიერ წარმოდგენილი განაცხადით, სტანდარტი შეფასებულია „სრული შესაბამისობით“, რასაც ექსპერტთა ჯგუფი სრულად ეთანხმება.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

**IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა:**

საქართველოს ბიზნესის აკადემია, ევროპის ხარისხის ფონდის **EFQM (European Foundation for Quality Managment)** მიერ აღიარებული სასწავლებელია საქართველოში, რაც ნიშნავს კომპანიის ავტორიტეტულ აღიარებას ევროპული სტანდარტების დონეზე, მისი მენეჯმენტისა და საქმიანობის ხარისხის ორიენტირებულობას მუდმივ განვითარებასა და სრულყოფაზე.

საქართველოს ბიზნესის აკადემია – SBA ორგზის ბრენდირების 5–დან 5 ვარსკვლავის მფლობელია.

**V. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

**VI. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება**

**VII. რეკომენდაციების შეჯამება**

**განმავითარებელი რეკომენდაცია:**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

## VII. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

### ცხრილი ივსება თითოეული პროგრამისთვის ცალ-ცალკე

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | კომპიუტერული ქსელი და სისტემები |
| პროფესიული განათლების დონე | მეოთხე |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია კომპიუტერულ ქსელსა და სისტემებში / Secondary Vocational Qualification in Computer Network and Systems; |
| სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი | 0612 |
| პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები | პროგრამა დამტკიცებულია: შპს „საქართველოს ბიზნესის აკადემია-SBA“- ის დირექტორის 2021 წლის 18 თებერვლის №03 ბრძანებით |
| პროგრამის განხორციელების ენა | ქართული |
| პროგრამის განხორციელების ადგილი (ადგილები) | საქართველოს ბიზნესის აკადემია-SBA ქ. თბილისი, რუსთავის გზატკეცილი 18/22 |
| პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური) | მოდულური |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

| | |
|---|---|
| პროგრამაზე პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით | 90 - პროფესიული სტუდენტი, საქართველოს ბიზნესის აკადემია-SBA ქ. თბილისი, რუსთავის გზატკეცილი 18/22 |
| სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს (არსებობის შემთხვევაში). | 90 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 148 |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 90 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 178 |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 120 |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

VIII. პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი
ცხრილი ივსება თითოეული პროგრამისთვის ცალ-ცალკე

| სტანდარტი/კომპონენტი | შეესაბამება | მეტწილად შეესაბამება | ნაწილობრივ შეესაბამება | არ შეესაბამება |
|---|---|---|---|---|
| **2) საგანმანათლებლო პროგრამები** | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| 2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება | სრული 3 | სრული 3 | მეტწილი 2 | |
| 2.2) პროგრამის განხორციელების რესურსი | სრული 3 | მეტწილი 2 | მეტწილი 2 | |
| 2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება | სრული 3 | მეტწილი 2 | ნაწილობრივი 1 | |
| 2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება | მეტწილი 2 | მეტწილი 2 | ნაწილობრივი 1 | |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

**პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება**

**2. საგანმანათლებლო პროგრამები**

**2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება.**

**2.1.1** პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი  საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. **პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;**

ექსპერტების მიერ შესწავლილ იქნა საქართველოს ბიზნესის აკადემიის-SBA მიერ შემუშავებული მიზანშეწონილობის დასაბუთება-პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ დამატებასთან დაკავშირებით. დოკუმენტი განხილული და დამტკიცებულია აკადემიის კოლეგიალური ორგანოს - სენატის 2020 წლის 19 ოქტომბრის სხდომაზე, ამავე სხდომაზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების უფლების მოპოვების თაობაზე. როგორც დოკუმენტიდან ვგებულობთ, კოლეჯის მიერ მიღებული დასაბუთება ეფუძნება შრომის ბაზრის მოთხოვნებს, სახელმწიფოს მიერ პრიორიტეტულად მიჩნეულ დარგს, რაც გულისხმობს პროფესიული სტუდენტების სწავლის საფასურის გადახდის ხელშეწყობას, აკადემიის შესაძლებლობებს, დამსაქმებელთა დაინტერესებასა და ჩართულობას მათი დასაქმების მიმართულებით, პროფესიული განათლების მსურველი პირებისათვის მეტი შესაძლებლობების შეთავაზებას.

აკადემიის გადაწყვეტილება, საგანმანათლებლო პროგრამის „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ განხორციელებასთან დაკავშირებით, შესაბამისობაშია აკადემიის მისიასთან, რომელიც გულისხმობს ზრუნვას სამეწარმეო, ასევე შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი ცოდნით და უნარებით აღჭურვილი პროფესიონალების განათლებასა და უწყვეტ პროფესიულ განვითარებაზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, როგორც ეს წარმოდგენილი დასაბუთებიდან ჩანს, აკადემია პრიორიტეტს ანიჭებს ისეთ პროგრამებს, რომლებიც მოთხოვნადია შრომის ბაზარზე და რომლებშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, შესაბამისად, კომპიუტერული ქსელი და სისტემების პროგრამის განხორციელება სრულად შეესაბამება მისიით გაცხადებულ როლს უზრუნველყოს მთელი სიცოცხლის მანძილზე განათლების ფორმალური და არაფორმალური გზით მიღების შესაძლებლობა.

გადაწყვეტილება შეესაბამება ასევე აკადემიის სტრატეგიულ გეგმას, რომლის - პირველი სტრატეგიული მიზანია - ფორმალური და არაფორმალური სწავლების სფეროში საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება, ხოლო ამავე მიზნის ერთერთ ქვემიზანს წარმოადგენს



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

- სამუალო დონის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში ზოგადი განათლების კომპონენტის ინტეგრირება. აკადემიის 2020-2021 წლის სამოქმედო გეგმაში სრულად არის ასახული ყველა ის აქტივობა, რომელიც სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული ამოცანების შესასრულებლად არის დაგეგმილი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ აკადემიის გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას.

**2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.**

აკადემიის მიერ წარმოდგენილ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე - „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ დაშვების წინაპირობები და პროცედურები შესაბამისობაშია ჩარჩო-დოკუმენტთან „ინფორმაციის ტექნოლოგია / Information Technology“, რომლის საფუძველზეც შემუშავებულია ზემოხსენებული პროგრამა.

პროგრამა შემუშავებულია მოდულური მიდგომით, რომელიც ითვალისწინებს ორ სასწავლო გეგმას **როგორც სრული ზოგადი განათლების ასევე საბაზო განათლების მქონე პირთათვის (ინტეგრირებული მოდულები).** შესაბამისად, უზრუნველყოფილია პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვება, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

ჩარიცხვის პროცედურები განსაზღვრულია შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA-ის სასწავლო პროცესის მართვის წესის თანახმად (თავი 1. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის პროცედურები), რომლის მიხედვით პროგრამაზე პირის ჩარიცხვის პირობები განისაზღვრება პროგრამით, რომელიც ეყრდნობა პროფესიული განათლების შესახებ საქართველოს კანონს, კანონქვემდებარე აქტებს და არსებობის შემთხვევაში, პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტს/პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს, ხოლო პროგრამაზე ჩარიცხვა შესაძლებელია განხორციელდეს პროფესიული ტესტირების გავლის გზით ან პროფესიული ტესტირების გავლის გარეშე. წესი ითვალისწინებს ჩარიცხვის პროცესთან დაკავშირებულ ყველა პროცედურას, როგორც მოდულურ, ასევე ინტეგრირებული მიდგომით სწავლებისთვის. გათვალისწინებულა ასევე პროგრამის განხორციელების ენის (ქართული ენა) კომპეტენციის ფლობის დადასტურების პირობები.

**3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით.**

საგანმანათლებლო პროგრამებისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობის განსასაზღვრად, აკადემიას შემუშავებული აქვს შესაბამისი მეთოდოლოგია (შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია -SBA-ს „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების წესი“, თავი N5 -პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია). წარმოდგენილი მეთოდოლოგიის თანახმად განსაზღვრულია საგანმანათლებლო პროგრამის „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ - მოდულური მიდგომით სწავლებისთვის და ასევე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები“ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობა (90).

აკადემიამ წარმოადგინა ცხრილი, რომელშიც წარმოდგენილია: სასწავლო გარემოს გამტარუნარიანობა (შემუშავებულია შესაბამისი ფორმულა), პროგრამის განმახორციელებელი ადამიანური რესურსის საკმარისობა და პრაქტიკის ობიექტზე ხელშეკრულებით განსაზღვრული სტუდენტების რაოდენობა. კერძოდ:

- A და B სასწავლო გარემოს მიხედვით მეთოდოლოგიით დასაშვები რაოდენობაა 1440 პროფ სტუდენტი, ხოლო სხვა პროგრამების ფარგლებში გამოყენებული რაოდენობაა 690. დარჩენილი რესურსის რაოდენობა შეადგენს 750 პროფ. სტუდენტს.
- C სასწავლო გარემოს მიხედვით მეთოდოლოგიით დასაშვები რაოდენობაა 500 პროფ სტუდენტი, ხოლო სხვა პროგრამების ფარგლებში გამოყენებული რაოდენობაა 190. დარჩენილი რესურსის რაოდენობა შეადგენს 310 პროფ. სტუდენტს.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

- პროფესიული განათლების მასწავლებლების მიხედვით მეთოდოლოგიით დასაშვები რაოდენობაა 360 პროფ სტუდენტი, ხოლო სხვა პროგრამების ფარგლებში გამოყენებული რაოდენობაა 0. დარჩენილი რესურსის რაოდენობა შეადგენს 360 პროფ. სტუდენტს.
- „კომპიუტერული ქსელისა და სისტემების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები“ არ საჭიროებს საწარმოო პრაქტიკას.

წარმოდგენილი დოკუმენტით, ასევე შესაბამის პირებთან გასაუბრების შედეგებით დგინდება, რომ „კომპიუტერული ქსელისა და სისტემების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის დადგენილი ზღვრული რაოდენობა (90 - მათ შორის ინტეგრირებული მიმართულებით) შესაბამისია არსებულ რესურსებთან და პროგრამის საჭიროებებთან.

**4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.**

ექსპერტების მიერ გადამოწმდა წარმოდგენილი პროგრამით გათვალისწინებული რესურსი იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს, რომელიც დაწესებულებამ დანართის სახით წარმოადგინა. გადამოწმდა ასევე მოდულებით განსაზღვრული საგანმანათლებლო რესურსი და დადგინდა მათი შესაბამისობა ჩარჩო დოკუმენტთან, რაც სრულად უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. როგორც აკადემიის წარმომადგენლებთან გასაუბრებით დადგინდა, პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალური, ფინანსური, ადამიანური და საგანმანათლებლო რესურსის იდენტიფიცირება განხორციელდა, აკადემიის დირექტორის მიერ 2021 წლის 08 თებერვლის N026 ბრძანებით შექმნილი სამუშაო ჯგუფის მიერ.

**5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან.**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ არჩევით მოდულებს არ ითვალისწინებს



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

**6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ.**

საგანმანათლებლო პროგრამა „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ დამტკიცებულია შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA-ის უფლებამოსილი პირის, დირექტორის 2020 წლის 18 თებერვლის №037 ბრძანებით, რომლის უფლებამოსილებაც განსაზღვრულია შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA-ის დებულების მე-5 მუხლის თანახმად.

**7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი.**

წარმოდგენილი პროგრამის სახელწოდება კონკრეტულია და სრულ შესაბამისობაშია როგორც პროგრამის შინაარსთან, ასევე პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებთან. შესაბამისად პროფესიული სტუდენტისათვის სახელწოდება არის ნათელი, გასაგები და არ შეიცავს შეცდომაში შეყვანის რისკს.

**8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.**

წარმოდგენილი პროგრამის შემუშავების საფუძველია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტი - ინფორმაციის ტექნოლოგია / Information Technology, მისანიჭებელი კვალიფიკაცია - საშუალო საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია კომპიუტერულ ქსელსა და სისტემებში Fourth level vocational qualification in Computer network and systems და აკადემიის მიერ შემუშავებული პროფესიული პროგრამების დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგია. აღნიშნული მეთოდოლოგია განსაზღვრავს შპს „საქართველოს ბიზნესის აკადემია-SBA“-ის პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის სტრუქტურას, შინაარსს, მისი დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, ცვლილებების განხორციელების, განვითარებისა და პროგრამის გაუქმების პროცედურებს და შემუშავებულია პროფესიული განათლების შესახებ საქართველოს კანონისა და განათლების შესახებ სხვა საკანონმდებლო აქტების საფუძველზე, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის რეკომენდაციებსა და უცხოური საგანმანათლებლო დაწესებულებების გამოცდილებაზე დაყრდნობით; ინტეგრირებული პროგრამის შემუშავების საფუძველია 2019 წლის 19 აგვისტოს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

სპორტის მინისტრის N 170/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების წესი და პირობები“. წარმოდგენილი პროგრამით განსაზღვრულია სახელწოდება, მიზნები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, მისაღწევი სწავლის შედეგები, შეფასების მიმართულებები, პროგრამის მოცულობა, პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობა, სწავლების მეთოდოლოგია სრულ შესაბამისობაშია საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან. სასწავლო გეგმა ინტეგრირებული პროგრამისთვის გაწერილია 3 სასწავლო წელზე.

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია-SBA-ის “პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების წესი“;
- შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია-SBA-ის პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება;
- შპს საქართველოს ბიზნესისაკადემია-SBA-ის მისია;
- შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია-SBA-ის დებულება;
- შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია-SBA-ის სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია-SBA-ის სამოქმედო გეგმა;
- კომპიუტერული ქსელი და სისტემების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომელშიც ინტეგრირებულია საშუალო განათლების სწავლის შედეგები;
- შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია-SBA-ის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია;
- კომპიუტერული ქსელი და სისტემების პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომელშიც ინტეგრირებულია საშუალო განათლების სწავლის შედეგები, მისაღებ პროფესიულ სტუდენტთა ქვოტის დასაბუთება;
- კომპიუტერული ქსელი და სისტემების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების განხორციელების თაობაზე შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია-SBA-ის დირექტორის ბრძანება;
- შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA-ის სასწავლო პროცესის მართვის წესი;

**შეფასება:**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.**

**2.2.1** პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

1. **პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;**

აკადემიის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის, ონლაინ დათვალიერების და ასევე შესაბამის პირებთან გასაუბრების შედეგებით დადგინდა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით -„კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილი იქნება დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით (90 პროფ სტუდენტი -მათ შორის ინტეგრირებული სასწავლო გეგმის მიხედვით)

როგორც დადგინდა, აკადემიაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის გამოყოფილია 2 A, B და C გარემო.

**2 A სასწავლო გარემო. აუდიტორია** - №202 (34 სამუშაო ადგილი) და №203 (30 სამუშაო ადგილი). აუდიტორიებში განთავსებულია შესაბამისი რაოდენობის მაგიდა და სკამი და აღჭურვილია სასწავლო პროცესის წარმართვისათვის აუცილებელი აღჭურვილობით: პროექტორი, დაფა, კომპიუტერი მასწავლებლისათვის.

**B სასწავლო გარემო** - აკადემიის ბაზაზე ფუნქციონირებს 4 B სასწავლო გარემო, დამატებით შეიქმნა მე-5 B სასწავლო გარემო რომელიც აღიჭურვა თანამედროვე ტიპის 31 პერსონალური კომპიუტერით. აუდიტორია №121 (31 სამუშაო ადგილი). აუდიტორია აღჭურვილია სასწავლო პროცესის წარმართვისათვის აუცილებელი ყველა შესაძლო აღჭურვილობით: პროექტორი, დაფა, პროფესიული სტუდენტებისა და მასწავლებლისთვის საჭირო სკამი და მაგიდა, კომპიუტერი მასწავლებლისათვის და პროფესიული სტუდენტებისათვის, კომბაინი (პრინტერი, სკანერი, ასლგადამღები).

**C სასწავლო გარემო** - ქიმიური/ბიოლოგიური/ტექნოლოგიური ლაბორატორია, აუდიტორია №117/118.(25 სამუშაო ადგილი) ლაბორატორია აღჭურვილია ფარმაციის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო აღჭურვილობით და აღემატება ინტეგრირებული მოდულის „მეცნიერება და ტექნოლოგიები“ განხორციელებისათვის მოთხოვნილ სარეკომენდაციო რესურსის ნუსხას ქიმიური და ბიოლოგიური კომპონენტის ფარგლებში. დაწესებულებამ წარმოადგინა ცხრილი, რომლითაც დასტურდება, რომ იმ პროგრამების განხორციელება, რომლებიც ამ გარემოში იგეგმება ერთმანეთს ხელს არ შეუშლის. აკადემიის ქიმიურ/ბიოლოგიურ/ ტექნოლოგიური ლაბორატორიის გამტარუნარიანობის შესწავლით დგინდება, რომ ის დატვირთულია მხოლოდ 20%-ით რაც იძლევა მისი დამატებით დატვირთვის საშუალებას.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

აკადემიას, საგანმანათლებლო პროგრამის „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ ფარგლებში, არ აქვს გაფორმებული ხელშეკრულება პრაქტიკის ობიექტთან, რამდენადაც პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა სრულად იქნება უზრუნველყოფილი დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

**2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.**

„კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 36 პროფესიული განათლების მასწავლებელი, აქედან საერთო სავალდებულო და პროფესიულ მოდულებს (16 მოდული, 80 კრედიტი) ახორციელებს 6 პროფესიული განათლების მასწავლებელი, ხოლო ზოგადი მოდულების, მათ შორის ინტეგრირებული მოდულების განხორციელებაში ჩართულია 30 პროფესიული განათლების მასწავლებელი. პროფესიული განათლების მასწავლებელთა დატვირთა იწარმოება აკადემიაში „პროფესიული განათლების მასწავლებელთა დატვირთვის სქემის“ მიხედვით, რომელიც მასწავლებელთა დატვირთვაში ითვალისწინებს ისეთ აქტივობებში ჩართულობას, როგორიცაა: მომზადება მეცადინეობისათვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავება, მონაწილეობა მათი ვალიდაციის პროცესში, სტუდენტთა ნაშრომების შეფასება, პროგრამის ხელმძღვანელობა, მონაწილეობა საკუთარი პროფესიული განვითარების ღონისძიებებში, ასევე სხვადასხვა სამუშაო ჯგუფების თუ მართვის კოლეგიალური ორგანოების მუშაობაში და სხვა. პროგრამის განხორციელების მდგრადობის დასადგენად ექსპერტებმა ასევე გადაამოწმეს მათი ჩართულობა სხვა საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებაში. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კოლეჯი ახორციელებს, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას „ლოგისტიკას, რომელშიც ინტეგრირებულია საშუალო ზოგადი განათლების სწავლის შედეგები. ექსპერტების მიერ შემოწმდა იმ მასწავლებლების კვირეული დატვირთვაც, რომლებიც ინტეგრირებულ მოდულებს ახორციელებენ და დადგინდა, რომ კოლეჯს თითოეული მოდულის განსახორციელებლად რამდენიმე მასწავლებელი ჰყავს მოწვეული, რაც უზრუნველჰყოფს ორივე საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ასევე აკადემიის წარმომადგენლებთან გასაუბრების შედეგებით თუ ვიმსჯელებთ კომპიუტერული ქსელი და სისტემების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმის მიხედვით, პროფესიული განათლების მასწავლებელთა დატვირთვა შესაბამისობაშია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

**3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია.**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ განმახორციელებელი ადამიანური რესურსის კვალიფიკაციის გადამოწმების მიზნით, ექსპერტთა მიერ შემოწმდა მათი პირადი საქმეები. აღნიშნული დოკუმენტაციის გადამოწმების და რამდენიმე მათგანთან გასაუბრების შედეგად ექსპერტებმა დაადგინეს, რომ პროფესიულ მასწავლებელთა განათლება, სამუშაო გამოცდილება და კომპეტენცია შესაბამისია  პროფესიულ სტუდენტთათვის სწავლის შედეგების გამომუშავებისა და შეფასებისთვის. ადმინისტრაციის  წარმომადგენლებთან გასაუბრების შედეგად დგინდება, რომ პროფესიული მასწავლებლები. აღნიშნული პროგრამის განხორციელებისათვის, შერჩეულნი არიან კონკურსის გზით. შერჩევისას ძირითად კრიტერიუმებად გათვალისწინებულია იყო მათი სამუშაო გამოცდილება, შესაბამისი კვალიფიკაცია და ამის დამადასტურებელი სერტიფიკატები. მასწავლებლების კვალიფიკაცია და კომპეტენცია დასტურდება იმ სერტიფიკატებითაც, რომლებიც მათ პირად საქმეებს ახლავს. როგორც დადგინდა აკადემია თავის მხრივ უზრუნველყოფს მასწავლებელთა განვითარებას სხვადასხვა ტრენინგის ორგანიზებით. ინტეგრირებული მოდულების მასწავლებელთა სერტიფიკატებით დასტურდება ასევე რომ  მათ გაიარეს, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრსა და გაეროს განვითარების პროგრამას შორის გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში ორგანიზებული ტრენინგების სრული ციკლი.

**4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი.**

ინფორმაციის ტექნოლოგიის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი, არის დარგის სპეციალისტი და IT Essential (CISCO)-ის სერტიფიცირებული სპეციალისტი, რაც უზრუნველყოფს პროგრამის სრულფასოვან განხორციელებას; - პრაქტიკული მუშაობის გამოცდილებით; - გავლილი აქვს ტრენინგი „კომპეტენციებზე დაფუძნებული სწავლება და შეფასება მოდულურ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში“.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

5. **საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში.**

დაწესებულებამ ონლაინ ჩართვაში ექსპერტებს წარმოგვიდგინა და დაგვათვალიერებინა კოლეჯის ბიბლიოთეკა. ონლაინ ჩართვის დროს, შერჩევითობის პრინციპით, გამოვითხოვეთ პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი, მათ შორის ინტეგრირებულ ზოგადი მოდულებისთვის. ყველა ჩვენს მიერ მოთხოვნილი რესურსი ადგილზე აღმოჩნდა, როგორც ელექტრონული, ასევე მატერიალური სახით. შესაბამისად შეიძლება ითქვას, რომ საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია და გამოიყენება სასწავლო პროცესში.
ბიბლიოთეკა სარგებლობს ელექტრონული კატალოგით OpenBiblio, რომელიც განთავსებულია კოლეჯის ვებგვერდზეც და შესაბამისად ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის,

6. **სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად.**

აკადემიის სასწავლო პროცესის მართვის წესით განსაზღვრულია საჭიროების შემთხვევაში სსსმ პირებისთვის მოდულების აკომოდაცია ან ადაპტაციის ვალდებულება. სსსმ პირებისთვის სასწავლო რესურსებთან წვდომის უზრუნველსაყოფად აკადემიას აქვს უსინათლო პირთათვის აღწარმოების ხმოვანი სისტემა/კომპიუტერული პროგრამა. სახელშეკრულებო ურთიერთობით ჰყავს სპეციალური მასწავლებელი, ხოლო ყრუ-მუნჯი პირებისათვის ჟესტური ენის თარჯიმანი.

აკადემიის დირექტორთან გასაუბრებით დგინდება, რომ აკადემიას აქვს უსინათლო პროფესიული სტუდენტთან ურთიერთობის გამოცდილება, რომელმაც სრულად ისარგებლა აკადემიის ზემოაღნიშნული სერვისით.

7. **პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

აკადემიამ წარმოადგინა პროგრამა „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ საპროგნოზო ბიუჯეტი. დოკუმენტით ირკვევა, რომ საგანმანათლებლო პროგრამისთვის, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს რენტაბელობის ზღვარს შეადგენს მინიმუმ 18 პროფესიული სტუდენტიდან მიღებული შემოსავალი, ხოლო მოდულური მიდგომის პროგრამისთვის რენტაბელობის ზღვარს შეადგენს მინიმუმ 19 პროფესიული სტუდენტიდან მიღებული შემოსავალიბიუჯეტი შედგება შემოსავლების და ხარჯების ნაწილისაგან. შემოსავლების წყაროს წარმოადგენს როგორც ვაუჩერული დაფინანსება, ასევე სტუდენტის გადასახადი. ხოლო პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯები, ძირითადად პროფესიული განათლების მასწავლებლების შრომის ანაზღაურებას, მასალების და ნედლეულის ღირებულებას, საბიბლიოთეკო ფონდის შევსება/განახლებას, სასწავლო ვიზიტის/პრაქტიკის ორგანიზებას, სხვადასხვა სტუდენტური ინიციატივების მხარდაჭერის ღონისძიებებს, ძირითადი საშუალებების ცვეთას და არამატერიალური აქტივების ამორტიზაციას, კომუნალურ გადასახედებს და სხვა გაუთვალისწინებელ ხარჯებს მოხმარდება.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ წარმოდგენილი ბიუჯეტი უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA-ის სასწავლო პროცესის მართვის წესი;
- კომპიუტერული ქსელი და სისტემების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები;
- შევსებული ფორმები მატერიალური/საგ ანმანათლებლო/ა დიამიანური რესურსების ფლობის შესახებ;
- პროფესიული განათლების მასწავლებელთა პირადი საქმეები;
- პერსონალის პირადი საქმე;
- შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA-ის პერსონალის მართვის პოლიტიკა და პროცედურები;
- შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA-ის პროფესიული განათლების მასწავლებელთა დატვირთვის სქემა;
- შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA-ის დებულება;
- შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA-ის საბიბლიოთეკო რესურსების მართვისა და მატერიალურტექნიკური ბაზით სარგებლობის წესი;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

- შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA-ის საბიბლიოთეკო სერვისებით სარგებლობის აღრიცხვის ჟურნალები;
- შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA-ის საბიბლიოთეკო ფონდი;
- შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA-ის ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგი (რომელიც განთავსებულია აკადემიის ვებ.გვერდზე)
- პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტი;
- მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ფლობის დოკუმენტაცია.

**შეფასება:**

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება**

**2.3.1** პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით.

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

1. **პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.**

აკადემიაში საგანმანათლებლო პროგრამების შეფასებას და განვითარებას ემსახურება ხარისხის მართვის სამსახური, რომელიც მუშაობისას ეყრდნობა სამსახურის დებულებას, ხარისხის მონიტორინგის ინსტრუქციასა და ხარისხის უზრუნველყოფის სტრატეგიას (2020- 2027 წლები). აკადემიაში ხარისხის უზრუნველყოფის მიზნებისათვის განხორციელებული აქტივობები ეყრდნობა დაგეგმე-განახორციელე-შეაფასე-განავითარე ციკლს, რომელიც გათვალისწინებულია აკადემიის ყველა პროცესის მართვისას. აკადემიის სრულფასოვანი ფუნქციონირებისთვის ხარისხის მართვის სამსახურის მიერ ხორციელდება აკადემიის და ადმინისტრაციული პერსონალის, საგანმანათლებლო პროგრამის, სტუდენტთა სერვისების ეფექტიანობის, სსსმ პროფესიული სტუდენტების კმაყოფილების, სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და განხორციელების ეფექტიანობის, მენეჯმენტის და თვითშეფასების ხარისხის კვლევა და შეფასება. ზემოაღნიშნული პროცესების შეფასებისას აკადემიის ხარისხის მართვის სამსახური იყენებს მრავალფეროვან მეთოდებს: გამოკითხვას, მათ შორის ელ. ფორმით (ელ. კითხვარები განთავსებულია აკადემიის ვებგვერდზე და მისი შევსება ანონიმურად შესაძლებელია ნებისმიერ დროს), ინტერვიურებას, ჯგუფებში მუშაობას, დაკვირვებას, მტკიცებულებების შეფასებას, ანონიმური ყუთიდან მიღებული ინფორმაციის შესწავლას და ანალიზს (აღნიშნული ყუთი განთავსებულია აკადემიის ფოიეში თავისუფალი წვდომით და ნებისმიერ პირს ანონიმურად შეუძლია განათავსოს თავისი აზრი) და სხვა.

აკადემიაში ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით აქტივობები ხორციელდება ხარისხის მართვის სამსახურის გეგმის მიხედვით, ხოლო შედეგები პერიოდულად მიეწოდება დირექტორს პრევენციული და მაკორექტირებელი ღონისძიებების განხორციელებისათვის. წლის მეორე აკადემიური ციკლის დასრულებისას ხარისხის მართვის სამსახური აჯამებს წლის განმავლობაში განხორციელებული პროცესების შეფასებას და წლიური ანგარიშის სახით წარუდგენს დირექტორს.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით შეიძლება ითქვას, რომ აკადემიაში შემუშავებული მექანიზმებით ხორციელდება პროგრამების შეფასება და განვითარება.

2. **პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free
აკადემიის მიერ შემუშავებულია დოკუმენტი „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების წესი“, რომლის მუხლი 20-ით განსაზღვრულია - პროგრამის განვითარების  და ცვლილებების განხორციელების შემთხვევები, ხოლო მუხლი 21-ით - პროგრამაში ცვლილებების განხორციელების პროცედურა. საგანმანათლებლო პროგრამებში ცვლილებების განსახორციელებლად დაწესებულება ეყრდნობა: პროგრამის განხორციელებაში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებელთა გამოკითხვის შედეგებს; პროგრამის განხორციელებაში ჩართული პრაქტიკის ობიექტების წარმომადგენელთა გამოკითხვის შედეგებს; პროფესიულ სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შედეგებს; სფეროს მარეგულირებელი საკანონმდებლო ბაზის ცვლილებას ან ახალი ტექნოლოგიების/მიდგომების დანერგვას; ახალი საგანმანათლებლო რესურსის იდენტიფიცირებას; პროგრამის მდგრადობის მიზნით, პროფესიული განათლების მასწავლებელთა დამატება/შეცვლას, ან  სხვა ნებისმიერი გარემოებას, რაც მიზნად ისახავს კონკრეტული პროგრამის განვითარებას. პროგრამებში ცვლილებების განსახორციელებლად აკადემიას შემუშავებული აქვს პროცედურები, რომლებიც სრულ შესაბამისობაშია მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესთან და დადგენილ ვადებთან. აკადემიის ადმინისტრაციული პერსონალი  შეთანხმებული სამუშაოს აღწერილობით განსაზღვრული მიმართულებითა და პერიოდულობით დირექტორს წარუდგენს შესრულებული სამუშაოს ანგარიშს, რომელთა შეფასებას ასევე ახორციელებს აკადემიის ხარისხის მართვის სამსახური. ხარისხის მართვის სამსახური თავის მხრივ ახორციელებს აკადემიაში განხორციელებული კვლევის შედეგების ანალიზს და შეიმუშავებს რეკომენდაციებს პროცესების გაუმჯობესების მიმართულებით. ხარისხის მართვის სამსახურის მიერ განხორციელებული მონიტორინგის საფუძველზე, აკადემიის დირექტორი გამოსცემს ბრძანებას შესაბამის დოკუმენტში ცვლილებების განხორციელების თაობაზე, მაგ. საგანმანათლებლო პროგრამებში/მოდულებში ცვლილებების განხორციელება, სამუშაო ფორმების შემუშავება/ცვლილებების განხორციელება;

ყოველივე ზემოხსენებული დასტურდება ხარისხის მართვის სამსახურის მიერ 2019-2020 სასწავლო წელს განხორციელებული მონიტორინგის ანგარიშებით.

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA-ის ხარისხის მართვის სამსახურის დებულება;
- შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA-ის „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების წესი“



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

- შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA-ის ხარისხის უზრუნველყოფის სტრატეგია
- შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA-ის ხარისხის მართვის სამსახურის სამოქმედო გეგმა;
- შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA-ის ხარისხის მონიტორინგის ინსტრუქცია;
- შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA-ის ხარისხის მართვის სამსახურის მიერ 2019-2020 სასწავლო წელს განხორციელებულ ი მონიტორინგის ანგარიშები.

**შეფასება:**

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება**

**2.4.1** სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას.

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1 **პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;**

საგანმანათლებლო პროგრამისთვის „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ შედგენილია ორი სასწავლო გეგმა - სასწავლო გეგმა პროგრამის მოდულური მიმართულებისათვის და სასწავლო გეგმა იმ პროგრამისთვის, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს. სასწავლო გეგმა, ინტეგრირებული ზოგადი მოდულებით გათვლილია - 3 წლიანი სწავლების მიზნებისათვის და შესაბამისობაშია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 19 აგვისტოს №170/ნ ბრძანების „საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ მოთხოვნებთან. სასწავლო გეგმაში დაცულია მოდულების წინაპირობები, საათების კვირეული ზღვრული რაოდენობა, საგამოცდო შუალედი წინსწრები მოდულებისთვის.

2. **პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;**

წარმოდგენილი დოკუმენტებით და შესაბამის პირებთან გასაუბრების შედეგებით დასტურდება, რომ აკადემიაში არსებობს პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით შემხვედრ საჭიროებებზე მოქნილი რეაგირების მექანიზმები. აკადემიაში მოქმედებს საკონსულტაციო მომსახურება, რომლის ფარგლებში მომუშავე პირები, არსებულ სტუდენტებს უწევენ კონსულტირებას და ეხმარებიან მათ სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაში. კონსულტირებისა და მხარდაჭერის სერვისში ჩართულია, როგორც ადმინისტრაციული პერსონალი, ისე პროფესიული განათლების მასწავლებლები. აღნიშნული სერვისი განსაკუთრებით აქტუალურია იმ პროფესიული სტუდენტებისათვის, რომლებიც მუშაობენ ან იმყოფებიან სავალდებულო სამხედრო სამსახურში. ასეთი პროფესიული სტუდენტებისათვის განმსაზღვრელი შეფასებები ტარდება მათთან შეთანხმებული მოქნილი განრიგით. სტუდენტთა ინტერესებისა და საჭიროების დასადგენად აკადემიაში გარკვეული პერიოდულობით ტარდება გამოკითხვები, რომელთა ანალიზის შედეგად იგეგმება შემხვედრი ღონისძიებები.

დაწესებულების წამომადგენელთა განმარტებით ასეთი გამოკითხვები იგეგმება „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ პროგრამის განხორციელების პერიოდშიც.

სასწავლო პროცესის რეგულაცია, სასწავლო პროცესის კორექტირების ნაწილში (ინტერვიურებით ზუსტდება სასწავლო გეგმის ოპერატიული ცვლილების არსებული პრაქტიკა/განსაკუთრებით პანდემიის პირობებში, დარგის კონტექსტის გათვალისწინებით)



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

3. **სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;**

„კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული მოდულების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ მათში გათვალისწინებულია სწავლების თანამედროვე მეთოდების და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენება, რისი განხორციელებაც უზრუნველყოფილია აკადემიის როგორც ადამიანური ასევე მატერიალური რესურსით. პროფესიულ მასწავლებლებთან ონლაინ გასუბრებით, და მათ პირად საქმეებში წარმოდგენილი სერთიფიკატებით დადგინდა მათი კომპეტენცია **თანამედროვე მეთოდებით სწავლებაში, ხოლო** ონლაინ დათვალიერების შედეგად დადასტურდა, რომ პროგრამის განსახორციელებლად გამოყოფილი აუდიტორიები აღჭურვილია პროექტორებით და ინტერნეტში ჩართული კომპიუტერული ტექნიკით, რაც მასწავლებელს თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების საშუალებას აძლევს.

4. **პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;**

„სასწავლო პროცესის მართვის წესის“ თანახმად (თავი 3) პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებების დასადგენად და შესაბამისად, მათ უზრუნველსაყოფად აკადემიაში შემუშავებულია ინდივიდუალურ საჭიროებებზე რეაგირების მექანიზმები და გაწერილია პროცედურები, რომლის მიხედვით განსაზღვრულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავების შემთხვევები, შემუშავებაზე პასუხიმგებელი პირები და პროფესიულ სტუდენტთა სავალდებულო ჩართვისა და მათთან შეთანხმების მექანიზმები. შემუშავებულია ასევე პროგრამის კომპონენტის ინდივიდუალურ რეჟიმში გავლის მექანიზმები.

5. **პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

კომპიუტერული ქსელი და სისტემების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში აკადემიას არ აქვს ხელშეკრულება გაფორმებული პრაქტიკის ობიექტთან, რამდენადაც საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა სრულად იქნება უზრუნველყოფილი დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

**6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.**

საგანმანათლებლო პროგრამა „კოპიუტერული ქსელი და სისტემები“ არ მოითხოვს განსაკუთრებულ უსაფრთხოების ნორმებს, თუმცა პროგრამის ფარგლებში აკადემიას შეძენილი აქვს ანტისტატიკური ხალიჩა, სამაჯურები და დამცავი სათვალეები.

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA-ის სასწავლო პროცესის მართვის წესი;
- შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA-ის სასწავლო პროცესის მართვის შუამდგომლობები სასწავლო პროცესის ორგანიზებისას პროფესიულ სტუდენტთა საჭიროების გათვალისწინების თაობაზე;
- შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA-ის პროფესიულ სტუდენტთა შეფასების ინსტრუმენტები, შეფასების მტკიცებულებები, ვალიდაციისა და ვერიფიკაციის შედეგები, შეფასების უწყისები და მათი რეგისტრაციის ჟურნალები
- ხარისხის მართვის მენეჯერთან გასაუბრების შედეგები.

**შეფასება:**

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free
წარმოესახვიერება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. **პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;**

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლით და სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერთან გასაუბრებით დგინდება, რომ აკადემიაში მოქმედი შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი/ობიექტური, რაც განსაზღვრულია „პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების დადასტურების წესით“ და რომლის უზრუნველყოფაც სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის მოვალეობაა. აკადემიაში პროფესიულ სტუდენტთა შეფასების პროცესს გეგმავს პროფესიული განათლების მასწავლებელი, ხოლო შეფასების ინსტრუმენტების წარმოდგენის განრიგს შეიმუშავებს სასწავლო პროცესის სამსახური. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების ინსტრუმენტებს შეიმუშავებს პროფესიული განათლების მასწავლებელი და წინასწარ განსაზღვრულ ვადაში წარუდგენს სასწავლო პროცესის სამსახურს. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაციის პროცესს ხელმძღვანელობს სასწავლო პროცესის სამსახურის ერთ-ერთი სპეციალისტი, რომელიც უზრუნველყოფს ვალიდაციის პროცესში სხვა მასწავლებელთა ჩართვას; პროფესიულ სტუდენტთა შეფასების პროცესს სავალდებულოდ ესწრება აკადემიის სასწავლო პროცესის სამსახურის წარმომადგენელი, ხოლო თუ შეფასების მიმართულებაა გამოკითხვა (შეფასების მეთოდი - ზეპირი გამოკითხვა) ან პროფესიული დავალება დაკვირვებით, შეფასების პროცესს სავალდებულოდ ესწრება დარგის მეორე სპეციალისტი

დოკუმენტში დეტალურადაა გაწერილი: შეფასების ინსტრუმენტის შერჩევის პროცედურა, შეფასების ინსტრუმენტის და მტკიცებულებების მიმართ არსებული მოთხოვნები, შეფასების ინსტრუმენტის შემუშავების პროცედურები, შეფასების ინსტრუმენტების შიდა ვალიდაციისა და ვერიფიკაციის მექანიზმები, შეფასების ადმინისტრირების საკითხები, შეფასების შედეგების თაობაზე პროფესიულ



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

სტუდენტთა ინფორმირებასთან დაკავშირებული საკითხები, აპელაციის წესი, განმეორებითი შეფასების განხორციელების პროცედურა, მტკიცებულებების მოპოვებისა და შენახვის წესი, შეფასების გაფორმების წესი.

**2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;**

დაწესებულების მიერ შექმნილი „პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების დადასტურების წესით“ განსაზღვრულია ვერიფიკაციის მექანიზმი, რომელიც ხარისხის მართვის სამსახურის ორგანიზებით კონკრეტული პროგრამის ფარგლებში გამოყენებული იქნება შეფასების ინსტრუმენტის, შეფასების პროცესისა და შეფასების შედეგად შექმნილი მტკიცებულებისა და ზოგადად შეფასების სისტემის დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად. ხარისხის მართვის მენეჯერის განმარტებით ვერიფიკაციის პროცესში ჩართული იქნებიან დარგის ის სპეციალისტები, რომელებიც არ იღებდნენ მონაწილეობას შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების ან ვალიდაციის პროცესში. მისივე განმარტებით საჭიროების შემთხვევაში აკადემია მოიწვევს ასეთ სპეციალისტებს

**3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით.**

შპს საქართველოს ბიზნესის აკადემიის სასწავლო პროცესის მართვის წესით დარეგულირებულია შეფასების მტკიცებულებების აღრიცხვის, გაფორმებისა და შენახვის პროცედურები, რაც შესაბამისობაშია კანონმდებლობის მოთხოვნებთან. აკადემიის საქმისწარმოების ერთიანი ინსტრუქციის შესაბამისად მუშავდება პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მტკიცებულებები და ინახება შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით..

**4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.**

აკადემიის მიერ შემუშავებული „პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების შეფასების წესით“ გაწერილია ყველა პროცესი, რომელიც პროფესიული სტუდენტის შეფასებასთან არის დაკავშირებული. პროფესიული პროგრამის განმახორციელებლებთან გასაუბრების შედეგად, დგინდება, რომ პროფესიული განათლების მასწავლებლები პერსონალურ მონაცემთა დაცვით ახორციელებენ უკუკავშირს პროფესიულ სტუდენტებთან და ხელს უწყობენ მათ შემდგომ განვითარებას. აკადემიაში პროფესიულ სტუდენტთა მხარდაჭერის მექანიზმები მოიცავს კონსულტირებასა და ინდივიდუალურ მეცადინეობებს. აღნიშნულის საჭიროების თაობაზე



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

პროფესიული სტუდენტი მიმართავს პროფესიული განათლების მასწავლებელს და შეთანხმებული განრიგით ტარდება ინდივიდუალური მეცადინეობები ფორმალური სახით, ხოლო ელექტრონული თანამშრომლობა - შეუზღუდავად.

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA-ის „პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების დადასტურების წესი“;
- შპს საქართველოს ბიზნესის აკადემიის სასწავლო პროცესის მართვის წესი;
- შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA-ის „პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების შეფასების წესი“;
- პროფესიულ მასწავლებლებთან გასაუბრებით.

**შეფასება:**

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ:**

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒

ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

იმ შემთხვევაში, თუკი ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას, მიუთითეთ ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართების, განხორციელების ფორმისა და არსებობის შემთხვევაში, ინტეგრირებული სასწავლო გეგმის მიხედვით და შემდეგ დაასაბუთეთ თქვენი შეფასება.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

| | |
|---|---|
| პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით | |
| სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს (არსებობის შემთხვევაში). | |

**X. თანდართული დოკუმენტაცია**

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი

21.05.2021



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: